2015 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

2015 წელს, მესამე კვარტალში, რომელიც მოიცავს ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებს, ჩავატარეთ ორი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეთათვის. სულ გადავამზადეთ 101 მსმენელი. აქედან 45 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 56 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის გაიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთობლივად, მოსამსახურეთა გადამზადების საჭიროებების წინასწარი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

ასევე, 2015 წლის 26-27 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან და „UNDP/რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან ერთად, ჩატარდა ერთობლივი ტრენინგ - სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აუდიტისა და შესყიდვების კუთხით მომუშავე მოსამსახურეებისათვის.

სემინარზე წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აუდიტისა და შესყიდვების კუთხით მომუშავე სპეციალისტები, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, მიეღოთ მათთვის საინტერესო ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის კვალიფიციური ტრენერებისგან.

სულ გადამზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 20 სპეციალისტი.

2015 წლის მესამე კვარტალში, ჯამში გადამზადდა 121 მსმენელი. მათ შორის, 101 საჯარო მოსამსახურე და 20 სემინარზე მოწვეული სამინისტროს თანამშრომელი.